პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2026 წლის __ აგვისტო

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბო არენა“-ს მიერ 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბო არენა“-ს ანგარიში 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბო არენა“-ს ანგარიში 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბო არენა“-ს მიერ 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — ლევან ჩანქსელიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
„წყალტუბო არენა"

წერილის ნომერი: **35-482623622**
თარიღი: **24/08/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

წარმოგიდგენთ ა(ა)იპ „წყალტუბო არენას" ანგარიშს 2026 წლის I-II კვარტლში გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი 6 ფურცელზე

ამირან ვარდანიძე

წყალტუბო არენა-დირექტორი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ა(ა)იპ „წყალტუბო არენას“

ანგარიში 2026 წლის **I-II კვარტალში** გაწეული მუშაობის შესახებ.

„წყალტუბო არენას“ საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და მიზნებია:

ა) ქალაქ წყალტუბოში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე საფეხბურთო სტადიონების (ცენტრალური და სათადარიგო) და აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ საფეხბურთო ცენტრის სტადიონზე ინფრასტრუქტურის მოწყობა, მოვლა–პატრონობა.

ბ) ქალაქ წყალტუბოში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე საფეხბურთო სტადიონებზე (ცენტრალური და სათადარიგო, ბუნებრივსაფარიანი მინი სტადიონი). აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ საფეხბურთო ცენტრის სტადიონზე შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალის“ ძირითადი გუნდის, დუბლების შემადგენლობისა და სხვადასხვა ასაკობრივი გუნდებისათვის ეროვნული ჩემპიონატების შესაბამის ლიგაში ჩემპიონატის თამაშებისა და ვარჯიშების ჩატარების შეუზღუდავად უზრუნველყოფა.

გ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და მისი პროპაგანდა, ქართული ფეხბურთის პოპულარიზაცია და საფეხბურთო ტრადიციების აღდგენა-განვითარება.

დ) სპორტული ღონისძიებებისა და სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებისა და ჩემპიონატებისათვის სტადიონისა და ინფრასტრუქტურის მომზადება.

ე) სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ა(ა)იპ წყალტუბო არენას 2026 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 12 იანვრის № ბ48.48260127 ბრძანებით ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 776 500 ლარით.

ა(ა)იპ „წყალტუბო არენას საშტატო ნუსხა და ხართაღრიცხვა იშიფრება შემდეგნაირად:

საშტატო ნუსხა - 29 კაცი. აქედან 5 ქალია და 23 კაცი.

შტატგარეშე თანამშრომელი - 3 კაცი. აქედან 2 ქალია და 1 კაცი.

1. ადმინისტრაციის ხელფასი გეგმით - 173 952 ლარი ფაქტიურად 171 956 ლარი.

2. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება 2 444 ლარი ფაქტიურად 2 444 ლარი

3. მივლინება ქვეყნის შიგნით გეგმით 2 000 ლარი ფაქტიურად 200 ლარი.

4. საკანცელარიო გეგმით - 400 ლარი ფაქტიურად 300 ლარი.

5. სხვა საოფისე მცირე ფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი გეგმით - 500 ლარი ფაქტიურად 440 ლარი.

6. რეცხვა,ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი გეგმით - 3 000 ლარი ფაქტიურად 2 900 ლარი.

7. შენობა ნაგებობა მიმდინარე რემონტის ხარჯი გეგმით - 6 600 ლარი ფაქტიურად 5 973,7 ლარი.

8. საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლოატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი გეგმით - 1 700 ლარი ფაქტიურად 305 ლარი.

9. ინტერნეტის ხარჯი გეგმით 3000 ლარი ფაქტიურად 3000 ლარი.

10. ელექტრო ენერგიის ხარჯი გეგმით - 4 358 ლარი ფაქტიურად 3 189 ლარი.

11. წყლის ხარჯი გეგმით - 4 000 ლარი ფაქტიურად 1 482 ლარი.

12. ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი გეგმით - 3 500 ლარი ფაქტიურად 3 389 ლარი.

13. რბილი ინვენტარის,უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯი გეგმით - 2 000 ლარი ფაქტიურად 1 950 ლარი.

14. საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი გეგმით - 6 500 ლარი ფაქტიურად 2 950,5 ლარი.

15. ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი გეგმით - 4 100 ლარი ფაქტიურად 120 ლარი.

16. კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი გეგმით - 150 ლარი ფაქტიურად 0 ლარი

17. შხამქიმიკატების ხარჯი გეგმით - 5 464 ლარი ფაქტიურად 4010 ლარი.

18. მინდვრის ბალახის ხარჯი(თესლი) გეგმით 9 950 ლარი ფაქტიურად 9 735ლარი.

19. მინდვრის სილა გეგმით 3500 ლარი ფაქტიურად 0 ლარი

20. საჯარო რეესტრის მომსახურება გეგმით 150 ლარი ფაქტიურად 150 ლარი

21. ფიზიკური პირის მომსახურება გეგმით 7000 ლარი ფაქტიურად 63 ლარი

22. ელექტრონული საქმის წარმოება გეგმით 309 ლარი ფაქტიურად 302 ლარი

23. ფინანსთა ასოციაციის საწევრო გეგმით 4 000 ლარი ფაქტიურად 3 000 ლარი

24. სხვადასხვა მასალების შეძენა გეგმით - 3 000 ლარი ფაქტიურად 3 000 ლარი.

25. ტენდერის ხარჯი გეგმით - 700 ლარი ფაქტიურად 200 ლარი.

26. სპორტული მოედნის მოვლა მომსახურების შეძენა გეგმით - 121 971 ლარი ფაქტიურად 30 193,5 ლარი

27. ვიდეო-აუდიო აპარატურა გეგმით 3 731 ლარი ფაქტიურად 3 731 ლარი

28. სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის შეძენა რომელიც არ არის კლასიფიცირებული გეგმით 4 100 ლარი ფაქტიურად 1 100 ლარი

სტადიონის გაქირავებით მიღებულმა თანხამ (იჯარამ) შეადგინა 24 000 ლარი.

ჩვენს მიერ უზრუნველყოფილია საფეხბურთო კლუბი „ სამგურალის“ ძირითადი გუნდის, დუბლების შემადგენლობისა და სხვადასხვა ასაკობრივი გუნდებისათვის ეროვნული ჩემპიონატების შესაბამის ლიგაში ჩემპიონატის თამაშებისა და საწვრთნელი ვარჯიშების ჩატარების შეუზღუდავად უზრუნველყოფა.

კერძოდ, 2026 წლის 10 იანვრიდან განაახლა საწვრთნელი ვარჯიშები ძირითადი გუნდმა.

7 თებერვლიდან 21 თებერვლამდე გუნდი ზამთრის საწვრთნელ-სავარჯიშო შეკრებაზე იმყოფებოდა თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ანტალიაში. „სამგურალმა“ საქართველოში დაბრუნების შემდეგ, მოსამზადებელი ვარჯიშები გაანახლა საფეხბურთო ცენტრში. ცენტრალურ სტადიონზე სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო (თესლის შეთესვა) ძირითადი გუნდი ეროვნული ჩემპიონატის თამაშებს და ვარჯიშებს ძირითადად ატარებს საფეხბურთო ცენტრში. ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო 2026 წლის 2 მარტს და გუნდს ჩატარებული აქვს 9 საშინაო თამაში.

2026 წლის 1 თებერვლიდან განაახლა ვარჯიშები სათადარიგო სამგურალი 2-ის გუნდმა და ასაკობრივი ლიგის გუნდებმა. სამგურალი 2 და 19, 17 წლამდელთა გუნდი, 15, 14, 13, 12, 11, 10 და 9 წლამდელთა ასაკობრივი გუნდები ვარჯიშებობენ ხელოვნურსაფარიან სათადარიგო სტადიონზე. ამავე მოედანზე ჩაატარებენ გუნდები ლიგა 4-ისა და ასაკობრივი ლიგის ჩემპიონატის საშინაო მატჩებს.

ლიგა 4-ის ჩემპიონატი დაიწყო მარტის თვეში და სამგურალი 2-ს ჩატარებული 6 საშინაო თამაში.

ასაკობრივი ლიგების ჩემპიონატი დაიწყო მარტის თვეში.

19 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 7 საშინაო მატჩი.

17 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 8 საშინაო მატჩი.

15 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 4 საშინაო მატჩი.

14 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 6 საშინაო მატჩი.

13 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 6 საშინაო მატჩი.

12 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 5 საშინაო მატჩი.

11 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 7 საშინაო მატჩი.

10 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 6 საშინაო მატჩი.

პარალელურად ხელოვნურსაფარიან სათადარიგო სტადიონზე ვარჯიშებს ატარებს სამოყვარულო გუნდი. ასევე პერიოდულად ვეხმარებით და სათადარიგო სტადიონზე ვარჯიშობს რაგბის გუნდი.

აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ საფეხბურთო ცენტრის სტადიონზე 2026 წლის 22-30 მარტის ჩათვლით ვარჯიშებს ატარებდა 21 წლამდელთა საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ 2026 წლის ევროპის ჩემპიონატის მატჩებში.

26 მაისის ქუჩაზე მდებატრ ბუნებრივსაფარიანი ცენტრალური სტადიონი იჯარით გვაქვს გაცემული და 2026 წლის ეროვნული ჩემპიონატის საშინაო კალენდარულ მატჩებს ატარებს საფეხბურთო კლუბი ტყიბულის მეშახტე.

არენას სარგებლობაშია და ვუვლით ცენტრალურ სტადიონს, სადაც საშინაო თამაშებს ატარებს სამგურალის ძირითადი გუნდი, საფეხბურთო ცენტრს, სადაც ასევე თამაშობს და ვარჯიშობს სამგურალის ძირითადი გუნდი. ასევე ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები, ხელოვნურსაფარიან სათადარიგო სტადიონს, სადაც თამაშებს და ვარჯიშებს ატარებს სამგურალი 2-ის და ასაკობრივი გუნდები, ასევე მინი ბუნებრივსაფარიანი სტადიონი, სადაც ვარჯიშობს ასევე 10 და 9 წლამდელთა გუნდები.

იანვრის თვეში შევიძინეთ სპორტული ბალახის თესლი და მოხდა 26 მაისის ცენტრალური სტადიონის მთლიანად შეთესვა-განახლება.

აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ საფეხბურთო ცენტრის სტადიონისთვის შევიძინეთ რკინები და საკუთარი ძალებით გავაკეთეთ ბანერის კონსტრუქციები რეკლამების განსათავსებლად. ასევე შეიფუთა სტადიონზე მწვრთნელთა და ფეხბურთელების სათადარიგო დასაჯდომი.

შეძენილი იქნა საცელავი 2 ერთეული, ბენზოცელი 2 ერთეული, ნაგვის ურნა 4 ერთეული, მინდვრის საპარსი ტექნიკა და დინამიკები.

სტადიონის ირგვლივ გასუფთავდა ხეები.

არენას თანამშრომლები მათ სარგებლობაში არსებული სტადიონების მოვლის მიზნით ყოველდღიურ უწყვეტ რეჟიმში მუშაობენ - სტადიონების მთელ პერიმეტრზე მოვლის მიზნით ყოველდღიურად მიმდინარეობს მუშაობა - სათამაშო მოედნის სისტემატურად პარსვა (ყოველ მე-2, მე-3 დღეს), შხამქიმიკატების შეტანა, სილის შეტანა, დაჩხვლეტა, მინდვრის მორწყვები ყოველ მეორე-მესამე დღეს აგრონომის მითითების შესაბამისად.

სისტემატურად მიმდინარეობს სტადიონების მიმდებარე გარე პერიმეტრის მოწყობა-გაწმენდა ცელით და სხვა ტექნიკით, მოსუფთავება.

ჩვენის მხრიდან იგეგმება და ხორციელდება ყველა სამუშაო, რაც საჭიროა სამგურალის ძირითადი გუნდის, დუბლების შემადგენლობისა და სხვადასხვა ასაკობრივი გუნდებისათვის ეროვნული ჩემპიონატების შესაბამის ლიგაში ჩემპიონატის თამაშებისა და ვარჯიშების ჩატარების შეუზღუდავად უზრუნველსაყოფად.